

24 საათი

პოლიტიკა

გაღიჭიანი

ლიბერალური პარტიის თავმჯდომარეს ბოლმა ახრჩობს და "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის გაპრეზიდენტება ვერ მოუხერხებია.

A2

ეკონომიკა

ენერგოკრიზისი გამწვავდა

ენერგოკრიზისი, რომელსაც ენერგეტიკოსებიც და ხელისუფლებაც ვერ კიდევ გასული წლის ბოლოს წინასწარმეტყველებდნენ, უკვე დაიწყო. საქართველოს ენერგოსისტემას საკუთარი რესურსები აღარ ჰყოფნის. ენერგეტიკოსები ვითარებიდან გამოსავალს გუშინ საღამოს, სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვინიასთან კანცელარიაში დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრისას ეძებდნენ.

A4

უცხოეთი

კადფიზი ბუჩქის ბაღი ვერ მოიგო

აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საერთაშორისო სანქციები ლიბიის წინააღმდეგ კვლავ ძალაში რჩება.

A5

საზოგადოება

დიდი ცვლილებები საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში 2004 წლის 1 იანვრიდან ახალი კანონების ამოქმედება იგეგმება, თუმცა ქვეყანაში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების შედეგად, როგორც ბევრ სხვა უწყებაში, სახელმწიფო ფონდშიც შეიცვალა ხელმძღვანელობა და აღნიშნული კანონების ამოქმედება დროებით გადავადდა.

A6

სამართალი

ბარამიძის მორიგი წარმატება - 600 კვ ოქრო ეროვნულ ბანკში

"საბანკო და არჩევნების დღეებში საქართველოში არც ერთი სერიოზული დანაშაული არ დაფიქსირებულა. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ პოლიციამ დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად გაართვა თავი." - ასეთი სასიხარულო ინფორმაციით დაიწყო გუშინდელი ტრადიციული ბრიფინგი მინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ.

A7

ანიონი

თბილისი	9	☁
ქუთაისი	13	☁
ბათუმი	14	☁
სოხუმი	11	☁
ფოთი	13	☁
თელავი	8	☁
ზუგდიდი	13	☁
გორი	7	☁
ახმეტა	8	☁
ჭიათურა	9	☁
ბაზრა	8	☁
სამცხედრო	13	☁

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1100
ევრო	2.6615
გირვანაქა სტერლ.	3.7602
რუბლი	0.0716

შობის დამა



თბილისი, 7 იანვარი, 2004 წ.

ნამდვილი გამოცდა წინ არის

ზაზა ფარაშვილი

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ლიბერალ-დემოკრატთა და რეფორმატორთა ჯგუფის წევრმა მათიას იორშმა საქართველოს პარლამენტის მომავალ არჩევნებს დემოკრატიის ნამდვილი გამოცდა უწოდა.

გუშინ მათიას იორშმა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რამდენიმე წევრმა სახელმწიფო კანცელარიაში ორი დახურული და სამი ღია შეხვედრა გამართეს. პირველად ისინი ესტუმრნენ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძეს, შემდეგ კი - სახელმწიფო მინისტრს ზურაბ ჟვინიას.

ღია შეხვედრები ჟურნალისტებთან შედგა, რომლებსაც უცხოელთა დელეგაციამ გვერდი ვერ აუარა.

ბაკრაძე A3 გვარძა



ევროსაბჭოს დელეგაციასთან შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძემ საპარლამენტო არჩევნების ვადაზეც იმსჯელა.

თბილისის საქრებულოს ლეიბორისტ-ნაციონალი თავმჯდომარე

სოფო ბაქია

თბილისის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს. რევოლუციური მიტინგების უბადლო წამყვანი, მიხილ სააკაშვილის ერთგული თანამებრძოლი, ყოფილი "ლეიბორისტი", ფრაქცია "დედაქალაქის" წევრი ზაზა ბეგაშვილი საკრებულოს დეპუტატებმა გუშინდელ სხდომაზე 32 ხმით, ათის წინააღმდეგ, აირჩიეს.

"მეორე პარლამენტი" - 2002 წლის 2 ივნისის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ სწორედ ასე მოიხსენიებდნენ თბილისის საკრებულოს, რომლის სხდომებზე მწვავე პოლიტიკური ლობუნგები უფრო ხშირად ისმოდა, ვიდრე თვით ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. საკრებულო ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი კერა გახდა, რაც, უმთავრესად, საკრებულოს თავმჯდომარის მიხილ სააკაშვილის ფიგურამ განაპირობა.

ბაკრაძე A2 გვარძა



თბილისის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე რევოლუციური წარსულით ამაყობს.

ხმაზის დათვლა ბრძოლაში

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არსებული უკანასკნელი მონაცემების თანახმად, მიხილ სააკაშვილმა ამომრჩეველთა 96,21 პროცენტი მოიპოვა. საღამოს ცხრა საათისთვის ცესკო-ში შემოსული იყო 2039-ზე მეტი საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ მონივრებული ინფორმაცია. აქვე დადგინდა, რომ წინასწარი მონაცემებით, საპრეზიდენტო არჩევნებზე საქართველოში 2 მილიონ 129 ათას 825 ამომრჩეველი გამოცხადდა.

რაც შეეხება დანარჩენ კანდიდატებს, გუშინ საღამოს მათი შედეგები ასე გამოიყურებოდა: თემურ შამიაშვილი - ხმათა 1,77 პროცენტი, როინი ლიპარტელიანი - 0,39 პროცენტი, ქართლოს ლარიბაშვილი - 0,18 პროცენტი, ზაზა სიხარულიძე - 0,19 პროცენტი, ზურაბ ქუცუასვილი - 0,06 პროცენტი.

ბიულეტენების დათვლა დღესაც გაგრძელდება და, სავარაუდოდ, საღამოს ან ხვალ დილით ცესკო-ში არჩევნების შედეგების სრული სურათი დაიდება.

ბაკრაძე A2 გვარძა

მხვიდობიანი არჩევნები აჭარაში

ოთხ იანვარს აჭარაში გამართული კენჭისყრის პროცესი ბევრად არ განსხვავდებოდა იმ საერთო ფონისგან, რომელიც ამ დღეს მთელ საქართველოში იყო შექმნილი. მიუხედავად მცირეოდენი დარღვევებისა, კენჭისყრის პროცესი ნორმალურად წარიმართა და მოსახლეობამ, ძირითადად, თავისუფლად შეძლო საკუთარი არჩევნის გაკეთება - ეს ის დასკვნაა, რომელიც "ახალგაზრდა ოურისტთა ასოციაციის" სადამკვირვებლო მისიამ გამოაქვეყნა.

ორგანიზაციის თავმჯდომარის ზაზა რუხაძის განცხადებით, "ახალგაზრდა ოურისტი" დამკვირვებლები ორგანიზაციამ მხოლოდ აჭარის მოსახლეობიდან შეაჩინა. მათ მიერ გამოვლენილი დარღვევები კი, ძირითადად, ტექნიკური ხასიათის იყო. ეს განსაკუთრებით ქვედა დონის, ანუ საუბნო საარჩევნო კომისიებში გამოჩნდა, რადგან, როგორც ზაზა რუხაძე აცხადებს, კომისიის ძალიან ბევრმა წევრმა არ იცოდა კენჭისყრის პროცედურის წესი.

ბაკრაძე A2 გვარძა

"წვრთნის და აღჭურვის" პროგრამას კერძო კომპანია გააგრძელებს

პენტაგონი საქართველოსადმი სამხედრო დახმარების პრიორიტეტად განიხილავს "წვრთნის და აღჭურვის" პროგრამას. მან უკვე დაიქირავა გადამდგარი სამხედროებით და კომპლექტებული კერძო კომპანია, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნასა და აღჭურვას გააგრძელებს.

პროგრამის გაგრძელება ქართველებმა თბილისში სტუმრად მყოფ აშშ თავდაცვის მინისტრს რამსფელდს სთხოვეს. სამხედრო კონსულტანტთა 20-30 კაციანი ჯგუფი უკვე თბილისში იმყოფება. ისინი კერძო კომპანია "კიუბიკს-თის" მუშაობენ, რომელმაც პენტაგონთან სამსლიანი, 15 მილიონიანი კონტრაქტი უკვე გააფორმა. "კიუბიკს" საქმიანობის სფეროს სწორედ თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხები წარმოადგენს. საქართველოში მისი ამოცანა თავდაცვის სამინისტროსათვის დახმარების განწვევა იქნება.

ბაკრაძე A5 გვარძა

აკაკი ასათიანი დღემდე თავისი მატარებლის მოლოდინში

გიორგი ასანიშვილი

ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარეს აკაკი ასათიანს მი-
აჩნია, რომ საპარლამენტო არჩე-
ვნების ჩატარება არ უნდა გაჭინო-
დეს. მისი თქმით, ახალი საკანონ-
მდებლო ორგანოს არჩევა მარტის
შუბლოს და აპრილის დასაწყისშიც
შეიძლება, ოღონდ, მანამდე ორი
საკითხი უნდა მოგვარდეს; ესენია:
საარჩევნო ადმინისტრაციების სა-
მართლიანად დაკომპლექტება და
საარჩევნო სივების დაზუსტება.
პირველი საკითხის მოგვარე-
ბას, ასათიანის განცხადებით, "ერ-
თი კარგი ჩაჯდომა სჭირდება",
მეორე კი გაცილებით შრომატევადია
და, კარგი მუშაობის შემთხვე-
ვაში, ორ თვეს მიიწვია წაიღებს.
მომავალ არჩევნებში ტრადი-
ციონალისტებს მოკავშირეები,
ეტყობა, უკვე შეგულებული ჰყავთ.



აკაკი ასათიანი: "ჯერ არავინ იცის, სად მიდის ეს მატარებელი."

აკაკი ასათიანის თანაგუნდელები
ამ ბოლო დროს ეროვნულ-დემოკ-
რატიულ პარტიას რომ შეუშაზნა-
გდნენ, საზოგადოებისთვის ცნო-
ბლია. ახლა ირკვევა, რომ მხოლ-

სპექტრს, აკაკი ასათიანი მას ქედ-
მაღლურად უყურებს.

"მრევლებს" სპეციფიკური
მიდგომები აქვთ, "ალტინება"
კი მულამ ერთი და იმავე შეცდო-
მებს უშვებენ," - აღნიშნავს ტრადი-
ციონალისტთა კავშირის ხელმძღ-
ვანელი.

თუმცა, გუშინ გამართულ პრე-
სკონფერენციაზე საპარლამენტო
არჩევნების საკითხი 4 იანვრის სა-
პრეზიდენტო არჩევნების თემამ
გადაფარა.

ასათიანი ეხმაურება მიხეილ
საკაშვილის მონოღებას "მომავ-
ლის მატარებელში ადგილების
დაკავების" თაობაზე და მოუწოდ-
ებს ხალხს, ნუ აჩქარდება, რადგან
"ჯერ არავინ იცის, სად მიდის ეს
მატარებელი."

"მატარებელზე ბილითებს კო-
ნდუქტორი ჰყიდის," - ღრმავა-
როვან მინიშნებას აკეთებს ტრა-
დიციონალისტების ლიდერი.

ნამდვილი გამოცდა წინ არის

ვირჯილი ბაქრაძე

იორში ჟურნალისტების ალყაში
კანცელარიაში შესვლისთანავე
მოექცა და მოკლედ განაცხადა,
რომ დიალოგი საპარლამენტო არ-
ჩევნების ვადებთან დაკავშირებით
გამართობდა, რომ ახალმა ხელი-
სუფლებამ და ოპოზიციამ ერთმა-
ნეთის აზრი უნდა გაიზიარონ. მი-
სივე თქმით, დელეგაცია არ აპირ-
ებს, ვინმეს თავს მოაზივოს საკუ-
თარი აზრი, თუმცა დარწმუნებუ-
ლია, რომ არჩევნები მაშინ უნდა
გაიმართოს, როცა ქვეყანა ამისთვის
ის მზად იქნება.

წინო ბურჯანაძესთან შეხვედ-
რიდან გამოსული იორში უკვე მათე
სართულზე მოექცა ალყაში და მოკ-
ლედ განაცხადა, რომ მისთვის ორი-
ვე მხარის არგუმენტები გასაგებია,
იქვე იმედიც გამოთქვა - კონსენსუსი,
ალბათ, მიღწეული იქნება.

ჟურნალისტების შესამე ალყა
მათიას იორშს ისეც კანცელარიის
პირველ სართულზე ელოდა, სადაც
მან კვლავინდებურად მოკლე, მაგ-
რამ უფრო კონკრეტული განცხა-
დება გააკეთა: "ძალიან ნაყოფი-

რი შეხვედრა მქონდა როგორც
წინო ბურჯანაძესთან, ასევე ზუ-
რაბ ჯვანიასთან. ჩვენ ვისაუბრეთ
საპრეზიდენტო არჩევნების შე-
დეგებზე და მე ვთქვი, რომ ეს იყო
წინა არჩევნებზე გაცილებით უკ-
ეთესი არჩევნები, მაგრამ ქვეყნის
დემოკრატიის ნამდვილი გამოც-
და მომავალი საპარლამენტო არ-
ჩევნები იქნება.

აქვე უნდა ვთქვა, ვხედავ უზა-
რმაზარ პოლიტიკურ ნებას იმი-
სათვის, რომ საპარლამენტო არ-
ჩევნები კიდევ უფრო უკეთ ჩატარ-
დეს, ვიდრე საპრეზიდენტო.

ამის მისაღწევად კი საჭიროა
იყოს კონკურენტული არჩევნები.
ამასთან დაკავშირებით, დღეს
დღითი ოპოზიციურ პარტიებსაც
ველაპარაკეთ და ვცადეთ დაგვე-
რწმუნებინა ისინი, აუცილებლად
მიელოთ მონაწილეობა საპარლა-
მენტო არჩევნებში. ეს უნდა მოხდ-
ეს მხოლოდ იმით, რომ ოპოზი-
ცია სჭირდება არა მარტო ქვეყან-
ას, არამედ ძლიერ მთავრობასაც.

ახალ ხელისუფლებას საპარ-
ლამენტო არჩევნების სწრაფად
ჩატარება სჭირდება. ჩვენ ვვყავ-

ის მათი და ვფიქრობთ, რომ ეს
ოპოზიციამაც უნდა გაითვალის-
წინოს. თუმცა, ჩვენივე გასაგე-
ბია ოპოზიციის არგუმენტებიც,
როცა ისინი არჩევნების გადაე-
დებას მოითხოვენ.

მგონია, რომ მხარეები კონსე-
ნსუსს მიაღწევენ".

ბოლოს გადავზობთ სახელმწი-
ფო საინფორმაციო სამსახურის
ინფორმაციას აღნიშნულ შეხვედ-
რებთან დაკავშირებით, რომელიც
დახურულ კარს მიღმა საუბარს შე-
ეხება:

"პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელთან წინო ბურჯანა-
ძესთან შეხვედრაზე ვეროსაბჭოს
საპარლამენტო ასამბლეის დელე-
გაციამ 4 იანვარს ჩატარებული სა-
პრეზიდენტო არჩევნები დადებით-
ად შეაფასა და ახალ მთავრობას
მომავალი საპარლამენტო არჩე-
ვნებისთვის თავიანთი რჩევები და
მოსაზრებები წარუდგინა.

პირველი საკითხი საპარლამენ-
ტო არჩევნების თარიღის დაწინა-
ვას შეეხებოდა. იორშის თქმით, სა-
ქართველოს მთავრობამ ყველაფე-
რი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ

არჩევნებში მონაწილეობა ყველა
ოპოზიციურმა პარტიამ თუ ბლოკ-
მა მიიღოს. შესაძლებელია რაიმე
ფულადი დახმარების განწვეც ამ
ოპოზიციური პარტიების მიმართ,
რათა მათ მოკლე ვადაში საფუძე-
ლიანად შეძლონ მომზადება. წინო
ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ
რამდენიმე თვის გაუცემელი ხელ-
ფასებისა და პენსიების ფონზე შე-
უძლებელია სახელმწიფომ რაიმე
დახმარება გაუწიოს პარტიებს, მი-
უხედავად იმისა, რომ ახალი ხელი-
სუფლება ქვეყანაში კონსტრუქცი-
ული ოპოზიციის არსებობით თავ-
ად არის დაინტერესებული.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც
ვეროსაბჭოს საპარლამენტო ასამ-
ბლეის დელეგაციამ წამოაყენა, არ-
ჩევნებში შვიდპროცენტის ბარი-
ერის გადახვევა იყო, რაც თავად
მოქმედმა პრეზიდენტმაც არ გა-
მორიცხა. საესებით შესაძლებე-
ლია, ამ ციფრმა ოთხ-ხუთ პროცე-
ნტამდე დაიწიოს.

და ბოლოს, დელეგაციის წევ-
რებმა წინო ბურჯანაძისგან მოს-
კოვში გამართული შეხვედრების
შედეგები მოისმინეს."

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის
ეროვნულ ბიუროში გახსნილი ცხელი ხაზის მეშვეობ-
ით შეგიძლიათ მოგვანოდოთ ინფორმაცია ნარკოტიკე-
ბის ბრუნვისა და ამ უკანონო ბიზნესში პოლიციელთა მო-
ნაწილეობის შესახებ.

თქვენი ანონიმურობა გარანტირებულია.

ცხელი ხაზის ტელეფონები:
98 27 50; 98 71 50; 99 11 28.

შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ
ბრძოლის ეროვნული ბიურო

"თბილგაზი" გაფრთხილებს!

"თბილგაზი" მოუწოდებს ყველა სამრეწველო და კომუ-
ნალურ მომხმარებელს, რომ ამა წლის 15 იანვრამდე მობრ-
ძანდნენ "თბილგაზის" სათაო ოფისში და შემოიტანონ განა-
ცხადი იანვარ-თებერვალში მათთვის აუცილებელი გაზის
მიწოდების თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ 16 იან-
ვრიდან ბუნებრივი აირის მიწოდება გაუფრთხილებლად შე-
წყდებათ. "თბილგაზის" მარკეტინგისა და დისტრიბუციის
სამსახურში განაცხადები მიიღება 8-დან 15 იანვრის ჩათვ-
ლით ყოველდღე, 10-დან 18 საათამდე.

"თბილგაზის" მმართველი კომპანია
"ახალი მენჯემენტი"

მისამართი: თბილისი, მიცკევიჩის 18 ა.

ოფიციალურ თბილის
რუსეთთან ურთიერთობების
გაუმჯობესება სურს

ზურაბ აბაშიძემ სამშაბათს ჟუ-
რნალისტებს განუცხადა, რომ სა-
ქართველოში ყველას უნდა რუსე-
თთან ურთიერთობების რადიკალ-
ურად გაუმჯობესება და არსებ-
ობს ყველა წინაპირობა, რომ ეს მი-
მდინარე წელს მოხდეს.

მან აღნიშნა, რომ საპრეზიდენ-
ტო არჩევნებში გამარჯვებული მი-
ხეილ სააკაშვილი რუსეთთან ურ-
თიერთობების გაუმჯობესებას სა-
ქართველოს საგარეო პოლიტიკის
პრიორიტეტად მიიჩნევს.

მისი აზრით, რუსეთისათვის
უფრო ადვილი იქნება ქართველი
პოლიტიკოსების ახალ თაობასთან
მუშაობა, რადგან ისინი "დამძიმე-
ბული არ არიან პირადი წყენებითა
და შეცდომებით".

ელჩმა სურვილი გამოთქვა,
რომ 2004 წლის პირველ ნახევარში
ხელი მოეწეროს ორ ქვეყანას შორ-
ის ჩარჩო ხელშეკრულებას მეგობ-
რობისა და სტრატეგიული პარტნი-
ორობის შესახებ.

პრამ-ნოუსი



კადაფი ბუშის ბული ჭარ ვერ მოიგო

აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საერთაშორისო სანქციები ლიბიის წინააღმდეგ კვლავ ძალაში რჩება, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი აქტიურად ცდილობს ტრიპოლის დაბრუნებას საერთაშორისო არენაზე. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ვაშინგტონი მიესალმება ლიბიის ლიდერის მოამარ კადაფის გადაწყვეტილებას მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამების გაყინვისა და ბირთვული ძეგლების საერთაშორისო ინსპექტორების დაშვების თაობაზე.



მოამარ კადაფი

ეგ ტერაქტების სერიის განხორციელება და საერთაშორისო ტერორიზმის დაფინანსება.

2003 წლის დეკემბერში კი ლიბიის ხელისუფლება მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდა. მან უარი თქვა საერთაშორისო ტერორიზმთან ურთიერთობაზე და მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამებზე. ამ ნაბიჯით საერთაშორისო სანქციების მოხსნას იმედოვნებდა. თუმცა, აშშ-ს ადმინისტრაცია დაჟინებით მოითხოვს, რომ მოამარ კადაფის ხელისუფლებამ უფრო კონკრეტული ნაბიჯები გადადგას, რაც ლიბიის მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებით ყველაწინავე ეტაპს მოხსნის.

როგორც ლიბია რეალურ ნაბიჯებს გადადგამს, შეერთებული შტატების თვის მხრივ განხორციელებს იმ ღონისძიებებს, რითაც აღიარებს ლიბიის მხრიდან მიღწეულ პროგრესს, - ნათქვამია ბუშის ადმინისტრაციის მიერ გაეროში წარმომადგენელ ოფიციალურ განცხადებაში. აშშ-ს პრეზიდენტმა ამასთანავე დასძინა, რომ, პოლიტიკური ძვრების მიუხედავად, ლიბიასა და აშშ-ს შორის კრიზისი ჯერ აღმოფხვრილი არ არის.

"წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამას კარძო კომპანია ბაზრად დასდის

პირველი ხარისხიანი

დასავლელი დიპლომატიის განცხადებით: "ჩვენი მიზანია, რომ სამხედრო ქვედანაყოფებს შევძლოთ ობიექტის დაკავება და შენარჩუნება. კონსულტანტები მჭიდრო კავშირში იქნებიან თბილისში, ამერიკის საელჩოში აკრედიტებულ სამხედროებთან და შტუტგარტში განლაგებულ აშშ-ს ევროპულ სარდლობასთან." მისი თქმით, პროგრამა სამ წელზე გაცილებით მეტ ხანს შეიძლება გაგრძელდეს.

60-მდე ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორი საქართველოში 2002 წლის ზაფხულში ჩამოვიდა, რათა დაეხმარებოდა ქართულ არმიას პანკისის ხეობაში შეფარებულ ალ-ქაიდას ტერორისტებთან ბრძოლაში დახმარებოდა. "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა, რომელიც კრემლის მუდმივი უწყალოფილების საგნად იქცა, წელს უნდა დასრულდეს.

საქართველოს დიდი ხანია, საკუთარ ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ბაზის განთავსება სურს. "ჩვენი გეგმურად წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის გაგრძელება და ჩვენი წინადადებაზე რამდენიმე პასუხი ძალიან მოგვეწონა." - განაცხადა თედო ჯაფარიძემ. ქართველები აცხადებენ, რომ ამერიკული კომპანიის მიერ გამოვლენილი ვაჭრები ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის უსაფრთხოებასაც შეუწყობს ხელს. მაღლი-

ერების ნიშნად, საქართველომ ერაყში 500 ჯარისკაცის გაგზავნაზე თანხმობა განაცხადა.

დასავლელი დიპლომატიის თქმით, აშშ განიზილავს საქართველოში "საოპერაციო არეალის" შექმნის საკითხსაც. ანუ, ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსდება ამერიკული სამხედრო ალტურვილობისა და სანავიგაციო ანალიტიკური რეზერვები აშშ-ს სპარტაციო არეალის" შექმნის საშუალებას მისცემს იმ ქვეყანაში, რომელშიც რუსეთს უკვე ჰყავს ორი რეალური სამხედრო ბაზა.

შეთანხმების თანახმად, რუსებმა თავიანთი სამხედრო ბაზები მოკლე ვადაში უნდა გაიყვანონ, მაგრამ როგორც ჩანს, ისინი არ ჩქარობენ შეთანხმების შესრულებას.

დიპლომატიის თქმით, პანკისის ხეობაში 80-100 ჩეჩენი მებრძოლი რჩება, მათ შორის ალ-ქაიდასთან დაკავშირებული რამდენიმე ტერორისტული იმედიც. "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მიზანია, რომ პანკისის ხეობის პრობლემა აღარ არსებობს.

გარდანი

ჩრდილოეთ კორეა ბატყდა

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ კომპრომისული წინადადება წამოაყენა. ფუნქციონირებს, შეაჩეროს ბირთვული იარაღის წარმოების და გამოცდის პროგრამა. ამის სანაცვლოდ კი ჩრდილოეთ კორეას აშშ-სთან ნორმალური ურთიერთობების დამყარება სურს. კერძოდ, ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება საერთაშორისო ეკონომიკური დახმარების აღდგენას და სანქციების შეწყვეტას ითხოვს. ამის მისაღწევად ფუნქციონირებს ასევე მზად არის, უარი თქვას ატომური ენერჯეტიკის განვითარების პროგრამაზეც.

ფუნქციონირებს ალტერნატივას სერიოზულ კომპრომისად აფასებენ. ამავდროულად, ვაშინგტონმა ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქში უკვე მიაღწინა ორი არაოფიციალური დელეგაცია. მათ მისიას იონბიონის ბირთვული კომპლექსის დეტალური ინსპექტირება წარმოადგენს.

თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, თუ რისი მონახულების უფლება ექნებათ ამერიკელ ექსპერტებს. რამდენიმე ხნის წინ, ფუნქციონირებდა, რომ ამერიკელ სტუმრებს ატომურ ბომბს აჩვენებდა. რაც შეეხება ექსპერტების მოლაპარაკებებს, რომლის მთავარ მიზანსაც ფუნქციონირს ახალი შექმნილი ბირთვული კრიზისის განსუტყვა წარმოადგენს, ის ალბათ

და, თუმცა ვაშინგტონმა ეს წინადადება მაშინვე უარყო და ამის მიზეზად დაასახელა ფუნქციონირის არაგულწრფელობა, რადგან მაშინ კომჩენ ირის მთავრობა მხოლოდ სანახევროდ ამბობდა უარს ბირთვული სახელმწიფოს ამბიციებზე. ამჯერად კი ფუნქციონირს წინადადება უკვე სხვაგვარად უფერს.

როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კორეა შიმშილმა შეანუხა. ხოლო მშვიდი სახელმწიფოს ბირთვული ამბიციები, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულია. ალბათ ფუნქციონირს ამას უკვე მიხვდნენ და ჩათვლიეს ჩაყოფა არჩიეს. ჩრდილოეთ კორეის ამ სურვილთან დაკავშირებით ვაშინგტონს ჯერ თავისი პოზიცია არ დაუფიქსირებია.

ეს ცნობა ჩრდილოეთ კორეის ახალი ამბების ოფიციალურმა სააგენტომ გაავრცელა. დამკვირვებლები

ახალი სტრატეგია - ეროვნული ურთიერთობა

რუსეთის ეროვნული სტრატეგიის საბჭოს დირექტორმა სტანისლავ ბელკოვსკიმ სახელი იმით გაითქვა, რომ გასულ წელს ზაფხულში გამოაკვეცა ცნობილი მოხსენება იმის თაობაზე, რომ რუსი ოლიგარქები სახელმწიფო გადატრიალებას აზრებდნენ. მოხსენების გამოკვეცებისთანავე რამდენიმე თვეში უმდიდრესი ოლიგარქი - მიხაილ ხოდორკოვსკი დაუპატიმრეს.

იტის მოსვლა და პოსტ-საბჭოთა სივრცეზე რუსეთის სრული დომინირების აღდგენა. ამ მიზნით რუსეთმა უზარმაზარი სამხედრო და ეკონომიკური დახმარება უნდა გაუწიოს ყოფილი რესპუბლიკების პრო-რუსულად განწყობილ ლიდერებს, - დასძინა მან.

იგივეს იმეორებს ამ საბჭოს თანადირექტორი იოსიფ დამკინიცი: "ისტორიამ ჩვენ სხვა მანსი არ დაგვიტოვა, რუსეთი მხოლოდ დიადი შეიძლება იყოს," - ამბობს იგი.

თუმცა, რუსი ექსპერტები იმას მაინც აღიარებენ, რომ დსთ-ში ბატონობის აღდგენის მცდელობა დასავლეთთან კონფრონტაციას გამოიწვევს, ევროკავშირში ყოფილი სოციალისტური ქვეყნების შესვლა კი ამ გაერთიანებას რუსეთისადმი უფრო ნეგატიურად განაწყობს.

ირანი და ევროპა ურთიერთობების გაუმჯობესებას ცდილობენ

ქალაქმა თეირანმა გადაწყვიტა, სახელი შეუცვლოს ქუჩას, რომელსაც ეგვიპტის პრეზიდენტის, ანვარ სადათის მკვლელის სახელი ჰქვია. ამ ნაბიჯით ირანს იმედი აქვს, რომ ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას დააჩქარებს. ხალხე ისლამების ქუჩას ამიერიდან

ან ინტიფადას ქუჩა დაერქმევა (ისრაელთან ურთიერთობების აღდგენას, როგორც ჩანს, ირანი არ აპირებს). ოფიციალური ქაირო აცხადებდა, რომ ქუჩისათვის სახელის შეცვლამდე დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე საუბარი ნაადრევი იყო. ისლამებში პრეზიდენტი სა-

დათი 1981 წელს მოკლა. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები 1979 წელს, ირანის რევოლუციის შემდეგ გაწყდა. ამის მიზეზი ეგვიპტის მიერ ისრაელთან კემპ-დევიდის სამშვიდობო შეთანხმების დადება და ირანიდან დევნილი შაჰის შეფარება იყო.

ურთიერთობების აღდგენის სურვილი ირანმა და ეგვიპტემ რამდენიმე კვირის წინ გამოთქვეს. გასულ კვირას, ბოლო ოცი წლის მანძილზე პირველად, ირანისა და ეგვიპტის პრეზიდენტები - ხათამი და მუბარაკი - ერთმანეთს შეხვდნენ.

როტერი

გილოსავით უოხას!

ჭაოსელი
GEOCELL

კაილი მინოუბი ნამდვილად გათხოვდება!




ავსტრალიელი პოპ-ვარსკვლავის, ნატალი იმბრულიას და ჯგუფ "სილვერჩერის" მომღერლის, დენიელ ჯონის ქორნილი პატარძლის თაიგული კაილი მინოუბმა დაიჭირა. ავსტრალიაში საჩქაროდ გაიხსენეს ბებიების დროინდელი ცრურწმენა და დაასკვნეს, რომ კაილის ხელში მოხვედრილი თაიგული 35 წლის მომღერლის გათხოვების ნიშანი უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ საქმროდ მშვენიერი კანდიდატურა გვყავს: ფრანგი მსახიობი ოლივერ მარტინესი.

ქორნილი მყოფმა ერთ-ერთმა სტუმარმა თავის გამოჩენა განიზრახა და თაიგულის ვარდნის ტრაექტორია დანვრისგან ალწერა: "პირდაპირ კაილის ჩაუვარდა ხელში! ეს ბედისწერაა!" მინოუგი განითვლებულა და ნერვიულად გაუცინია.

კაილი მინოუგი ავსტრალიაში იმისთვისაა ჩასული, რომ მარტინესს თავის საყვარელი ადგილები აჩვენოს. ჰოდა, ბედისწერამაც არ დაახანა.

ვერსალის სტილის აღორძინებისთვის



ფრანგმა მსახიობმა, კატრინ დენევემ, ფრიად ამბიციური ამოცანა დაიასახა: მან ვერსალის განთქმული სამეფო სასახლის შექმნისას გამოყენებული სტილისა და ტექნოლოგიების აღორძინებას უნდა შეუწყოს ხელი.

ამჟამად საფრანგეთის ეროვნული ტელევიზიის მეხუთე არხზე სატელევიზიო პროგრამის, "ხელოვნების გენიოსების" ჩვენება დაიწყო, რომლის ნამყვანადაც ქალბატონი დენევეი გვევლინება.

თუმცა ბოლო დროს კარნაქეტელ ცხოვრებას ეწევა, ის თავადაც ძველებური ხელოვნებისა და ანტიკვარული ავეჯის ტრფიალი გახლავთ, და ამიტომაც გამოხმაურა ამ პროექტს. პროექტი მოქმედაკეების, ავეჯის ოსტატების, მჭედლების თუ მესაათების მხარდაჭერას ისახავს მიზნად, ანუ ყველა იმ ხელოსნისა, რომელიც ვერსალის შემქმნელი ოსტატების ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელია. სატელევიზიო პროექტი 10 სერიას გულისხმობს, ყოველი სერია თითო პროფესიის ადამიანებს მიეძღვნება.

საბრინა სელტური თავხანისმცხამელთა საყვარელად



გერმანელი რეპერი, საბრინა სელტური, იანვრისთვის დაგეგმილ ტურნეზე Live 2004 უარს აცხადებს. უცნაური კია, თითქოს ყველაფერი ჩინებულად ვითარდებოდა და ბილეთებიც საუკეთესოდ გაიყიდა. ტურნე 19 იანვარს კოლმში უნდა დასრულდებოდა, შემდეგ საბრინა მიუნხენში, მანჰაიმში, ჰანოვერში, ჰამბურგსა და ბერლინში იმღერებდა. მოკლედ, მათ, ვინც წინასწარ იზრუნა საბრინა სელტურის კონცერტზე დასრულებისთვის, შეუძლიათ ბილეთები უკან ჩააბარონ.

საბრინამ თქვა, რომ შეფერხების მიზანი "გაუთვალისწინებელი შემოქმედებითი მოვალეობებია", და სააგენტოებს დაჰპირდა, ტურნეს დაწყების ზუსტ თარიღს უახლოეს მომავალში მოგახსენებთ. ერთი რამ უკვე დანამდვილებითაა ცნობილი: საბრინა 19 მარტს, ბერლინში, ევროპის გრან-პრისთვის გაიბრძოლებს.

სადაც უნდა იქნას,
დავის კურიერი
პირდაპირ თქვენთან

თქვენ მიატოვებთ სტადიონი დასწავლა და გადახადის მსვლელთა ფოსტის უხელო მომსახურების მიღება.

დაიკავთ 24 საათის განმავლობაში,
ნომერი 332609

გაიკავთ მარტინი რაბინსკაისა და მოხდით დავის კურიერი სტადიონი.

გვესაჭიროება!
ინგლისურის და კომპიუტერის მცოდნე
ფარმაცევტები და ექიმები.
ტელ: 95 90 60, 899 166897

**საოჯახო
დეტო**

შეიძინეთ
გაერთეთ!
მოიგეთ!

ფორმა "ფრენტი"
გაიყვანეთ ნარსტუსს.

ყოველ შაბათს,
რუსთაველი 2-ის
პირდაპირ ეთერში
გაიმართება ტელელოტორი
"საოჯახო ტოტოს" გათამაშება.

ნაგალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტატი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდის დროს წვა, შარდსადენი ზერელის ბაგეთა მინება, სუნი ან გამოვადენი; აგრეთვე ტკივილი ნელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ ნაგალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესწონება.

"სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. ნაგალი "სალხინო" კურნავს სარკვევ ვირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

ნაგალი "სალხინო" თვისებები აპრობირებულია და მონონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
ნაგალის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

საბავშვო გაზეთი 12-მდე
მეორე და მესამე ტირაჟის შედეგები

04002876	05002229
04000812	05003811
04003436	05002982
04003016	05003908
04003280	05002626
04002055	05002676
04001540	05000175
04002010	05003371
04002261	05003518
04000481	05000525